№ 2

ფასი 5 კაპ.

საოხუნჯო ალმანახი

ვაი-ვაი

გამოვა დრო-გამოშვებით სხვა-და-სხვა სათაურით. წერილები გამოიგზავნება შრომის სტამბაში ალმანახის სახელზე.

გაუმარჯოს ჩვენს ერთობას, თავისუფალ ქეიფობას.

11 594

Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили

Академия наук ГССР

ამ ბოლო დროს, მეტის-მეტად
შემოიღეს ლხინი, თრობა,
ლამაზებთან ხვევნა-კოცნა,
სადღეგრძელო, არშიყობა.

სადაც წახვალ და წამოხვალ—
სულ ქეიფი, სულ დღეობა!..
ეს ვაგლახი ჩვეულება
ნეტა როდის მოისპობა?.

ომი

იტალი-ოსმალეთი

იტალიამ დაიჩემა:
ტრიპოლისი ჩემიაო
ჩვენსა პაპებს იგი სხვისთვის
მუქთათ მიუცემიაო.
ეხლა მინდა დავიბრუნო
ან ნებით, ან ძალითაო,
ჩამოდექი ოსმალეთო,
გამოვდივარ ხმალითაო.
ოსმალეთმა შეუთვალა:
ნებით ტრიპოლს არ მოგცემო,
ძალაზედ თუ საქმე წავა —
გვერდებს მოგტეხ, იმდენს გცემო.
შენ თუ ხმალით გამოდიხარ,
მე — მზათა მაქვს თოფებიო,
ჯარიც კი მყავს, გენაცვალე,
მარტოთ არ ვიმყოფებიო.
იტალიამ გადმოსძახა:
აბა, რას მიედებიო!..
შენ მე ომი ვერ მომიგო
არ აგიდგეს გვერდებიო.
ვნახოთ ძალა ვის ექნება...
თუ არ მომცემ ნებითაო,
ქალაქს თავზე გადაგანგრევ
ჩემი ზარბაზნებითაო.
ოსმალეთმა შეუძახა:
ზარბაზნები მეც კი მაქვსო,
მგონი ისე მოგაყარო,
ზღვაში იმალავდე თავსო,
არაბებს რომ წამოგისევ —
ასი ათასობითაო,
იმდენ ტყვებს მოგაკრებთ —
ვერ დათვალოთ წლობითაო.
იტალიას ამ სიტყვებზედ
მართლაც გული მოუვიდა,
და თავისი მეომრებით
საბრძოლველათ გამოვიდა.
მიაყენა ტრიპოლს ჯარი,
ზარბაზნები დაუშინა,
ქალაქი სულ დაანგრია,
მცხოვრებლები დააშინა
და ოსმალეთს შეუთვალა:
ჩემო კარგო ალიაო,
რას იწყებდი ჩემთან ბრძოლას
თუ არ გქონდა ძალიაო.!.
ეხლა მაინც დაიჯერე,
ჩემთან ვერას გახდებიო,
შერიგებასაც მოითხოვ,
მალე, იგრე წახდებიო!..
ოსმალეთმა აგრე უთხრა:
ჯერე რას იბრაქებიო,
მე მინახავს სახელმწიფო
შენზედ კარგი ნაქებიო,
ვინც ქვეყანა გააყრუა
კვეხნითა და ქებითაო,
ბოლოს თავი კი ისახელა—
უკან დაჩოჩებითაო.
ჯერ ადრეა ჩემო ძმაო
მე არ ვიწყებ ბრძოლასაო,
ქვეშევრდომებს თავს მოუყრი
ვალოცვიებ მოლასაო,
და იცოდეთ ჩვენი ლოცვა
თუ ისმინა აალლაჰმაო,
მაშინ ერთი იერიშით
გადაგდენით გადაღმაო.

—

იტალია აქეთ მჯავრობს,
ოსმალეთი იქით სწყრება
და ჩვენც ვნახოთ მომავალში
საქმე რითი გადაწყდება.

ოხუნჯი.

ყანა

(მიბაძვა)

(საამწლისო მოთქმა სოფლელებისა)

ყანაო ქვეყნის სამოთხევ,
ჩვენო იმედო, ყანაო!
წელს ცისკრის სხივმაც შემოგწყრა
და ნამმაც არ დაგბანაო.

—

დაგიფშუკუნა გრიგალმა
თან სეტყვა მოატანაო
ზედაც დაგწყევლა უფალმა
ჩვენი დამშევა ბრძანაო.

—

ხან გოლვამ ძირი გაგიხმო,
ხანაც წაგლეკა ღვარმაო,
არ გაგახარა წვიმებმა
და არც მოგიხმა დარმაო.

—

რით გადვიხადოთ ბეგარა:
საერობო და დრამაო,
რით დავაპუროთ ცოლშვილი
ხომ ყველას უნდა ჭამაო.

—

ყანაო, სოკოიანო!
ვაი, ნაშრომო ყანაო,
მაღალმა ღმერთმა დასწყევლოს
სხვა წელი ამისთანაო.

შხანკოლი.

ტიპები

I

გიტო ყლაპიაშვილი.

გიტო ყლაპააშვილი, ზორბა ტანის ვაჟკაცია. ტანზედ ხშირათ თეთრ ჩოხას იცვამს, თავზედ ფაფახი, წელზედ — სატევარი და ხრმალი აქვს გადაკიდებული; დადის წელში წაფერდებული და ისე წყნარათ, რომ ასე გეგონება ეპარება ვინმესაო. რომ გვერდში გაუვლი, ცალ თვალს დახუჭავს და ისე შემოგხედავს. შემდეგ წარბებს მოხუშავს, თითქოს ბუზათაც არ ჩაგაგდებს და შემდეგ დინჯათ გადასდგამს ფეხს იმ იმედით, რომ ვინმეს ბუმბერაზათ მოაჩვენოს თავი.

გიტო ხშირათ ჩამოუვლის ნაცნობებს და სწორედ იმ დროს მიადგება კარებზედ, როდესაც ან სადილია, ან ვახშამი და თავის ხრინწიანი ხმით დაიძახებს:

— გამარჯობა მეგობარო.

— ააა, მობრძანდი გიტო, მობრძანდი, გაგიმარჯოს! —მიესალმება მასპინძელი, —მოიწი სტოლთან ახლოს.

— სტოლთან რა მინდა!.. არაფრის ჭამა არ შემიძლია, მადა არა მაქვს წარმოიდგინე!.. მაგრამ ხო, სტოლთან მაინც დავჯდები ახლოს.

— ეს კაი სასმელია, გიტო, დალიე თუ კაცი ხარ, —მიაწოდებენ.

— შენ არ მომიკვდე, ერთი წვეთის ჩაშობა არ შემეძლოს პირში. სულ ვერ ვსვამ წარმოიდგინე მაგარ

სასმელებს. (ცალ თვალს დახუჭავს და შეხედავს ბოთლს). ეს შუსტოვის უნდა იყოს არა?!. ხოო, მაგას ქე დავლევ ცოტას. (დაისხამს და გადაჰკრავს) ჩინებულია, სხვა სასმელს სრულებით ვერ ვეწყობი.

— ღვინო დალიე, გიტო, კაი ღვინოა. (დაუსხამენ).

— შენ არ მომიკვდე, ერთი წვეთი ვერ დავლიო, სრულებით არა ვსვამ ღვინოს, მძულს კიდევაც. (ბოთლს შეხედავს), ეს კახეთია ხომ არაა?.. მაგას კი დავლევ ცოტას. (გადაჰკრავს). შენი ჭირიმე რა ღვინოა, (კიდევ ასხამს) ერთსაც დავლევ, ასეთი კარგი ღვინო ჯერ არ დამილევია წარმოიდგინეთ.

— გოჭი მიირთვი, გიტო. კარგი გოჭია, (მუიჩოჩებენ).

— რაც უნდა იყოს პირის დაკარება არ შემიძლია, ნუ ირჯებით, ბატონო. გოჭი ისე მძულს, რომ მეტი არ შეიძლება. (დააცქერდება ცალ ბარკალს), ცოტას ვჭამ რადგან კარგი შემწვარია ეტყობა. (მოსდობს ჩანგალს) ერი ჰაა! რა მშვენიერი გოჭი ყოფილა. ამის ჭამით ვერ გაძღება კაცი. ამაზედ სასმელსაც დავლევ ერთს (დაისხამს და იღებს ჭაქას).

— უკაცრავათ გიტო, ეგ შუსტოვის არ არის, სარაჯევის არის, აქედან დაისხით — მიაწოდებენ მეორე ბოთლს.

— ნუ სწუხდებით, ბატონო, სულ ერთია გადაჰკრავს) საუცხოვოა მე და ჩემმა ღმერთმა. სარაჯევის მაგარ სასმელებს ძალიან ვეწყობი.

— აგერ ინდაური, ქათამი, მიირთვი გიტო, რომელიც გნებავთ (გადმოუდგამენ).

— ნუ სწუხდებით, არაფრის ჭამა არ შემიძლია. მედა ჩემმა ღმერთმა ძალიანი სტოლის გაწყობა კი იცით (ინდაურს შეხედავს). ეს ინდაური აქაურია? ძალიანი მსუქანი კია.

— არა, ინდაური სოფლიდან ჩაომივიდა გიტო, ქათამი კი აქ ვიყიდე.

— როგორ იცით ყველაფერი!.. ქათამი სოფლური სრულებით არ იქომა, სამაგიეროთ, ინდაური იქაური — საუცხოვოა. (მიატეხს ბარკალს ინდაურს და ჭამს). შენ გენაცვალე, რა საჭმელია, სულ სხვა გემო აქვს ბატონო სოფლის ინდაურს.

ასე ამგვარათ იბაასებს გიტო, სანამ სუფრა საგრძნობლათ არ შეთხელდება, ხოლო შემდეგ გამოემშვიდობება მასპინძელს და დინჯათ, თავ-მომწონეთ გაუდგება სახლისაკენ.

— მადლობა ღმერთს, ეშველა, — წამოიძახებს დიასახლისი, — სწორეთ სულელია მაგი უბედური. რაცხას ისეთს იტყვის, რომ სიცილს ვერ შეიკავებ კაცი, საჭჯერ პირზე ხელ აფარებული გაველი მეორე ოთახში. მოდი და იფხუტუნე სტოლზედ.

— ვინ არის მაგი კაცი, — შეეკითხება სტუმარი.

— რა ვიცი ბატონო, ვინ არის, იმერელი არის კი ვიცი და გიტო ქვია წინათ სამსახურში ყოფილა, ეხლა კი ასტავკაშია. ასთე დაძვრება ყველგან... ზოგან სადილზე მივა, ზოგან ვახშამზედ და ზოგანაც ჩაიზე, მხოლოთ საჭმელის ჭამის მადა კი არსად არა აქვს მაგ უბედურს.

გესლიანი.

გ ა მ ო ც ა ნ ა.

ხან ქუჩაში, ხან სახლებში,
მუდამ ტურასავით ძვრება!..
უფრო ხშირათ იქით მიდის,
სადაც კარგათ გამოძღება!..
ნაფოტებით თავი მოსწონს,
იბერება, — სხვებს კი სწუნობს!..
შრომა რაა სულ არ იცის,
ლუკმისათვის მაიმუნობს.

იგივე.

რჩევა-დარიგება

ერთი ინგლისელი პოეტი ამ დარიგებას აძლევს იმას, ვისაც ცოლის შერთვა სურს: „შეირთე ცოლი სიყვარულით, თუ გინდა მართლა ნამდვილი ცოლი გყვანდეს. თუ ფულის გულისათვის შეირთავ, მაშინ ცოლი კი არა, „ბატონი“ იქნება. თუ იმისთვის შეირთავ, რომ დიდ-კაცობაში ფეხი მოიკიდო და ადგილი მოიპოვო, მაშინ ცოლი კი არა — „დამა“ იქნება.

ცოლს ეყვარები, „ბატონი“ შეგიწყალებს, „დამა“ — შეგიწუნარებს შეგინდობს. ცოლი შენთვის იქნება, „ბატონა — თავისთვის, „დამა — საზოგადოებისთვის და სტუმრებისთვის.

თუ ავათ გახდები: ცოლი მოგივლის, „ბატონი“ — ხანდახან დაგხედავს, „დამა“ — მოკითხვით გიკითხავს. ცოლი ჭირს და მწუხარებას შუა გაგიყოფს, „ბატონი“ — შენს ფულს, „დამა“ — ვალებში ჩაგსვამს. როცა აღსრულდები: ცოლი გიტირებს, „ბატონი“ — შეგიბრალებს, ვაი საწყალიო, „დამა“ — შავებში მოირთვება.

ჩიბასლების გოდება.

თუთხმეტ თუმნათ ცხენი იირდა,
მივაჩუქეთ დიმიტრასო,
ვიფიქრეთ „სტარშინა“ არის
მაგიერ კარგს ჩვენც გვიზამსო.

გადიჯგიმა, გადიპრანწა,
ვინცხა დიდი გეგონება!..
„იმას“ რომ ფეხებს ულოკავს,
ჩვენი რას მოეგონება?!.

გზებზე პირუტყვი გვეხრჩობა,
არსით არ გვაქვს საშველება,
ბოქაულმა მიგვიწერა,
აღარც მისი ეყურება!..

მის ცხენსაც ვერ მოუარა,
მოჰპარეს და ჩვენ გვაბრალებს!..
დღეი გვაცდენს, ღამე — გვახრჩობს,
მან აცის და ჩვენ გვაწვალებს!..

რა დრო დადგა! ყველაფერზედ
ყველანი ჩვენ გვაჩანჩალებს,
გაიქცევს რომ ვერ ეწევიან —
შინ გვიპრაწვენ მართლებს თვალებს!.

ცხვირ-საკრავი.

სპარსეთის შახის ხელმეორედ გაპარვა

ყოველ-კვირა დავჩანჩალობ
ჩემი ბარგი-ბარხანითო!..
ქარავანი დამქოლალა
ამოდენა ხახანითო.

ტახტზე ასვლა დავაპირე,
მაგრამ საქმე წამიხთაო,
ისევ წავალ ადესაში —
გავიპარვი ღამითაო.

ოგპავი

„შენ შეიწყალე უფალო“.

ცხოვრობდენ ერთი ცოლქმარი
საწყლათ და ღარიბულათა,
დაუზოგავად ხარჯავდნენ
გროში თუ ჰქონდათ ფულათა.
როდესაც დააკლდებოდათ
მეზობლებიდან ვალობდენ,
შრომა კი ეზარებოდათ,
იმისთვის არა სცალოდენ.
ეგრე ზარმაცი ცოლ-ქმარი
უფალმა გაიძულია
და ერთ საღამოს, საწყალ ქმარს
ამოაცალა სულია.
ცოლი დამქრივდა საწყალი
დაიწყო მოთქმა-გოდება,
(ეგრე იციან ხომ მუდამ
როდესაც ვინმე მოკვდება)!
წესის აგებას შეუდგენ
მონახეს მღვდელი ტერტერა,
იმანაც არ დაიზარა
და ხელათ მოებენტერა.
საცეცხურს ხელი მოჰკიდა
და წამოიწყო ვალობა:
„ღმერთო მოხედე მონასა
შენსა, მიეცი წყალობა“.
ცოლმა დაიწყო ტირილი:
—„ჩემო ძვირფასო ქმაროვო,
კარგი გუნების იყავი,
მუდამ ჟამს უწყინაროვო,
რომ დამიბარე, ტერტერას
მიეცი ჩემი ცხენიო,
სიტყვას არ გავტეხ გენაცვა,
აღსრულდეს ნება შენიო“.
ტერტერა იქნევს საცეცხურს:
—მიყვარდა ცხონებულიო,
„შენ შეიწყალე უფალო,
მიცვალებულის სულიო“.
— რომ დამბარე გენაცვა:
„ჩემი ძროხა და ხარიო,
ყველა ტერტერას აჩუქე,
სამადლო საქმე არიო“,
სულ ყველას მივცემ იცოდე,
და არც ქე მეწყინებაო,

აღსრულდეს შენი ანდერძი,
აღსრულდეს შენი ნებაო.
ტერტერა ამბობს: —საწყალსა,
რა კარგი გული ქონდაო,
„შენ შეიწყალე უფალო,
მაგისი სული ცხონდაო“.
— რომ დამიბარე, გენაცვა:
„რაც რომ ყუთში მაქვს ფულათო,
ოცდა ცამეტი მანეთი
ტერტერას მიე სრულათო,
ჩემს მაგიერობას გიზამს,
მოგხედავს, გიპატრონებსო“.
მერწმუნე ასეთს ანდერძსა
სულ ყველა მოგიწონებსო.
ტერტერა იქნევს საკეცხურს:
—„უფალო შეიწყალეო,
მე გიპატრონებ, მოგხედავ
ჩქარ-ჩქარა, მალე-მალეო“.
— რომ დამიმოწმე, გენაცვა:
„თუ ვინმემ რამე განდოსო
და ის ორმოცი თუმანიც
ტერტერამ გადიხადოსო“,
შენი განზრახვის ჭირიმე,
შენს ანდერძს ვენაცვალეო,
ტერტერას ისე უყვარხარ
ყველას გადიხდის მალეო.
ტერტერა გარბის კარებში:
—დაიქცეს თქვენი რჯულიო!..
არ მინდა თქვენი ქონება,
არც მინდა თქვენი ფულიო,
ცოლი და ქმარი ყოფილხართ
ორთავე დაღუპულიო,
შენ შეაჩვენე უფალო
მისი ხორცი და სულიო“.

ქალაქელი.

სიზმარ-ცხად

ერთმა ქართველმა,
მოლვაწემ, ძველმა,
ნაქეიფარზედ რომ დაიძინა.
დაალო ხახა,
სიზმარი ნახა:
ლამაზი გოგო იწვა მის წინა!..
მოხვია ხელი,
უკოცნა ყელი,
სიხარულისგან გაკმინდა ენა.
არცქე იფიქრა,
გულში ჩაიკრა
და გადიგორა უკანისკენა!..

—

ამ განცხრომაში
და დიდ შრომაში,
გამოეღვიძა, დაუფრთხა ძილი,
ელდა დაეცა,
დაენგრა ზეცა,
მკლავებში ჰქონდა ბალიში რბილი!

უფრო გაცხარდა,
უფრო გამწარდა,
შორს გაუფრინდა ქეიფი, ლხენა,
დაეცა მეხი,
ბალიშს ჰგრა ფეხი
და უსასტუმლოთ გადაათენა.

მუშტი.

ასმალეთის ბედ-იღბალით
მეზობლებმა იწყეს შური!..
ეხლა ბრძოლა რომ გაჩაღდა
ყველამ გამოცქვიტა ყური.

ზოგმა ჩოხა შეაქუცა,
ზოგმა კიდევ—ახალუხი,
ვნახოთ როგორ გათავდება
ზარბაზნების ჰახა-ჰუხი.

ანეგდოტები.

მოლა მასრედინას მოხსენებული სიტყვები.

ერთს დღეს მოლა მასრადინას ბაღში სხვისი ხარი შესულიყო და ხეხილი გაეფუჭებინა. გაიგო თუ არა მოლამ, ხარს კეტით გამოუდგა, მაგრამ ვერ დაეწია. საღამოზედ შინ დაბრუნების დროს მოლას გზაზედ ურემი შეხვდა და ურემში შებმული ერთი ხარიც იცნო, მაშინვე მივარდა და ხარს ცემა დაუწყო. მეურმემ შეაყენა და გაოცებით ჰკითხა:

— რისთვისა სცემ ჩემს ხარს, რა დაგიშავაო?

— შენ გაჩუმდი, ამან თავისი დანაშაული თითონვე კარგათ იცის, და აკი ამიტომა ხმასაც არ იღებსო, უპასუხა მოლამ.

—

ერთს დღეს მოლა მასრადინა და იმისი ერთი შეგირდი სანადიროდ წავიდნენ. ნადირობაში დათვის ბუნაგს მიადგნენ.

— აბა შეძვერ ბუნაგში და ნახე, შიგ დათვი არის; თუ არაო, უთხრა მოლამ შეგირდს.

შეგირდი ბუნაგში შევიდა თუ არა ამ დროს შორიდგან მომავალა დათვიც გამოჩნდა. მოლამ ბუნაგში მიმავალ დათვს კუდში ხელი მაგრათ წაავლო და ბუნაგში არ უშვებდა. ამ ჭიდაობაში ბუნაგი მტვრით აივსო, და მტვრისაგან შეწუხებულმა შეგირდმა მოლას გამოსძახა:

— მოლა, აგრე რათ ამტვერდა, ლამის მტვრისაგან დავიხრჩოვო!

— თუ დათვის კუდი ხელში არ მეჭიროს, მაშინ ნახავ ამტვერებასაო, მიუგო მოლამ.

—

მოლა მასრადინა თავის მეზობელს ცხენს ევაჭრებოდა და ოთხ თუმნათ მოურიგდა.

— ეხლა ოცდა ხუთი მანეთი მიიღე და თხუთმეტი ჩემზედ დარჩესო, უთხრა მოლამ. მეზობელი დასთანხმდა. რამდენსამე თვის შემდეგ მოლას მეზობელი ეწვია და ის თხუთმეტი მანეთი ვალი მოსთხოვა.

— განა პირობა ისე არ იყო, რომ თხუთმეტი მანეთი ჩემზედ დარჩესო? ეხლა რომ ავიღო და მოგცე, მაშ ჩემზედ რაღა დარჩება ამითი ხომ ჩვენი პირობა დაირღვევაო? უთხრა მოლამ.

—

მოლა მასრადინას სახლში ქურდები შევიდნენ და, რასაც მოასწრეს, წაიღეს. მოლა შემთხვევით გზაზედ შეხვდა იმათ, და თავისი სახლის ავეჯეულობა იცნო. საჩქაროთ წავიდა შინ, თითონაც ერთს ნოხს დაავლო ხელი, გაახვია და იმათ გაჰყვა. ქურდები ერთს სახლში მივიდნენ, ნაპარევი დააწყვეს და დასასვენებლათ წამოწვნენ. მოლაც შეჰყვა თავისი ნოხი ძირს დააგდო და ჩამოჯდა დასახვენებლათ. გაოცებული ქურდები დაეკითხენ:

— რაო! რისთვის მობრძანდი!

— როგორ თუ რისთვის? განა აქ არ გადმოვსახლდი? ეს არ იყო, ჩემი ბარგი თქვენ გადმოიტანეთ?

—

მოლა მასრადინამ რამდენიმე გირვანქა ბამბის ძაფი იყიდა, გამხმარ ვირის თავზედ დაახვია და ხარაზთან წაიღო გასასყიდათ. ხარაზმა გორგალი ხელში აიღო თუ არა, ემძიმა და ეჰკ აღებით უთხრა:

— მოლა, ეგ გორგალი მძიმეთ მეჩვენება ოგორლაც და შიგ ქვაკი არ იყოს ჩატანებულიო!

— რას გაგიკვირებულხარ, ქვა კი არა, ვირის თავიაო, უთხრა მოლამ და ხუმრობაში გაატარა; როგორც იყო, მიჰყიდა, ფული გამოართვა და წავიდა. საღამოზედ ხარაზმა გორგალი გამოახვია და ნახა, რომ მართლა ვირის თავი იყო შიგ. ხარაზმა მოლას უჩივლა. როცა მოლა დაიბარეს სასამართლოში და ჰკითხეს, მიუბრუნდა ხარაზს და უთხრა:

— როცა შენზედ ვყიდდი, შენ არ მითხარ, „შიგ ქვა არ იყოს ჩატანებულიო“? და მე შენ არ გიპასუხე, რომ „ქვა-კი არა, ვირის თავია“ მეთქი. ამ გვარათ თავი გაიმართლა მოლამ.

კინტოს მოსწრებული სიტყვები.

ერთი კინტო მებულკესთან შევიდა და სდობნი მოითხოვა. როდესაც სდობნი მოუტანეს, დახედა და ნახა, რომ ძველია.

— მებულკე!—დაუძახა მან მებულკეს,—წაიღე, ჩემო ძმაო, ამ სდობნის მაგივრათ ბულკი მომიტანე.

მოუტანეს ბულკი. როდესაც შეჭამა, წამოდგა და ისე გავიდა გარეთ, რომ მებულკეს ფული არ მისცა. მებულკე წამოეწია და უთხრა:

— შენ ეი, ბულკი სჭამე და ფულს კი არ იძლევი?

— რა ბულკი, რა ფული? შენ სიზმარში ხომ არა ხარ? ბრმა იყავი, ვერა ნახე, რომ ბულკში სდობნი მოგეცი?!

— მაშ რადგან აგრეა, სდობნის ფული მომეცი.

— კაცო, ჭენ ზემო ეტაჟაში ხომ არ გიქშიტინებენ? რა სდობნის ფული უნდა მოგცე? სდობნი არ იყო რომ უკანვე წაიღე?! გიჟია?!

—

ერთმა კინტომ წყალზე ვირი ჩაიყვანა წყლის დასალევინებლათ. როდესაც ვირმა წყალი დალია და გაძღა, წასვლა დაიპირა, მაგრამ კინტომ დაიჭირა და პირი ისევ წყალში ჩაუყო. ვირი თავს ზევით იწევდა და არა სვამდა. ამაზედ კინტომ ვერ მოითმინა და წარმოსთქვა:

— ჩემმა მზემ ვირი ჩემზე ჭკვიანია, ეს ერთი რახან გაძღა, მორჩა, მეტს აღარა სვამს, მე კი, რაც უნდა ვირივით გავძღე, მაინც კიდევა ვსვამ და ვეულუტამ!..

—

ერთ მანდილოსანს კვერცხები უნდა ეყიდნა და შეეკითხა კინტოს:

— კვერცხებს როგორა ჰყიდი?

— წყვილი ორი შაური,—უპასუხა კინტომ.

— რა ამბავია, ეგრე სიძვირე? გა-

ნა შეიძლება, რომ ადამიანმა წყვილ კვერცხში ორი შაური მისცეს? წინათ ორ შაურათ ათ კვერცხსა ვყიდულობდით.

— ის დრო წავიდა, მადამჯან! ეხლა სხვა დროა და! ეხლა ყველა მამლებმა ზაბასტოვკა ქნეს და, შე დალოცვილო, მე ხომ არ დავიწერ ქათმებზე ჯვარსა?!

—

ერთი ბერძენი და კინტო ალაპარაკდნენ; ბერძენმა უთხრა:

— ვის ედავები შე სულელო! გაგეგება რამე საბერძნეთზე?

— ვა! რასა ყვირი ეეე! რასა ყვირი? უპასუხა კინტომ.

— როგორ თუ რასა ვყვირი? ყეყეჩო! კიდევაც რომ მედავები? შენ იცი რა დიდებული წარსული ჰქონდა საბერძნეთს? იმას ვერც ერთი მხარე ქვეყანაზე ვერ შეედრება: ყველა ჭკვიანი, ყველა ფილოსოფოსი საბერძნეთიდან გამოვიდნენ.

— პა! პა! პა!—გაიკვირვა კინტომ. მაგრამ თუ კი ყველა ჭკვიანები გამოვიდნენ საბერძნეთიდან, მაშ იქ მხოლოთ შენისთანა სულელები და დარჩებოდნენ რაღა!

პოლემიკა

ასკანელი პროკოფია
გამოსულა „სინათლეში“
და იძახის „ვაი-ვაის“
ნემსი მოხვედრია ყელში.
რადგანც თვისი ნემსის წვერი
მას გაჩრია ყანყრატოში,
სხვაი რაღა ეკადრება,
მივაძახოთ: „ჩოქში, ჩოქში“.
—ჩემო კარგო, ასკანელო,—
ასე გეტყვის, კვირხილაო,—
შენს ბიჭობას მაშვინ ვნახავ,
როცა თვალით გიხილაო,
შუბლში რომ დაგეტაკები,
გადაგიყვან ყირასაო,
მიწას ცხვირით დაგახნევებ
მაგ რიონის პირასაო.
ლექსის წერა თვარ იცოდი,
ვინ გატანდა ძალსაო!..
შენს ქეჩხოში დადგებოდი
რას იფხანდი ქალზასაო!..
აღარც რითმა, არც ხუმრობა,
ილანძღები პროზითაო,
პატრონი რომ გივარგოდეს
აგაჭრელებს როზგითაო.
რა ხანია, ცნობილი ხარ
პრესის მაჩანჩალათაო,
სადაც ნახავ ნაგვის გოდორს
ეჩხირები ძალათაო,
ეხლა კიდევ გამოსულხარ
ისეთ „სინათლეშიაო“
რომ აშკარათ დაგორაობ
ტალახში და მტვერშიაო.

კვირხილა.

პროვინცია

ოზურგეთი.

სახალხო სამკითხველო გვაქვს
და მირთლაც რომ — სახალხოა,
რადგან, ქართული გაზეთი
შიგ მარტოკა „სახალხოა“!..
ვერ იშოვით რომ გინდოდეს,
ვერც „კოლხიდას“ და ვერც „მნათობს“,
ჩანს რომ სამკითხველოს გამგე
ჩომაზედ მეტს ყაირათობს.
რუსული კი— ღვთის წინაშე
ბლომათ არის საკითხავი,
ალბათ ფიქრობს: დროიანათ
განვითარდეს წამკითხავი,
თორემ ისე რა გავიგოთ
რუსულს რისთვის ეტანება,
როცა ქართველ მკითხველთათვის
აგრე რიგათ ენანება.

ნიახური.

—

ჩიბათი.

ძალიანი გაგვეხარდა
რა მივიღეთ „ვაი-ში“
თქვენ ხომ ვარგხართ, ჩემიც ნახეთ:
რასაც მოგწერ ერთს არ გსტყუი.
დღეს ლანჩხუთში გავიარე
რა გიამბო უცხო ფერი
სასოფლო გზებს აკეთებენ
არ მოგვსწრია ჯერ ამფერი!..
წარმომიდგა ჩვენი გზაი,
გავიელვე ნატვრა გულში:
ღმერთო, ღმერთო, კენჭით ჩხრიალი
მომასწარი ჩვენს ჯურღმულში.

ცხვირ-საკრავი.

—

ბქიდანზე.

თუთხმეტი დღე არის რაც ხატები და ხეისთავები სოფლის სასამართლოშია კერძოთ მამასახლისის ცხენის ქურდს დაეძებენ. თვითონ ვარობენ სხვაი იქ არავინ ჰყავენ და ბოლოს შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანეს:

ვინც გაალო ჭისკარიო,
ცხენის ქურდიც ის არიო.

იგივე

რეკლამები.

1.

ლ ა ლ ი ძ ი ს ლიმონათები,
ყველაზედ უკეთესია.
იგი რომ კაცმა დალიოს
რიგი არის და წესია.
ჯერე არის და ნადული,
ფილტრებშიც გავლებულია,
სურნელება აქვს ისეთი
გაგიცოცხლდება გულია.
წინათ კი —ყველასა ჯობდა
ტფილისში— „სტარი ზემელი“,
მაგრამ ბოლო ხანს მოაკლდა
ძველი პატივის მცემელი,
ეხლა, მართლაც რომ ყველაზე
კარგი —ლალიძის წყალია.
იგი რომ კაცმა დალიოს
წესი და სამართალია.

(2—1)

2.

ეგებ ტფილისში ბრძანდებით,
სალამო არის, თუ გშია,
ყველაზედ კარგი ვახშამი
იცოდეთ, ახალ კლუბშია.
მწვადები „ციპლიატები“ —
ათ შაურათ ღირს პორცია,
პოვრები - გამოცდილია,
ახალ-ახალი ხორცია.
თან ვახშამსა სჭამ, თან ლოტოს
წაითამაშებ წყნარათა,
იქნება ფულიც მოიგო
გუნების გასახარათა.
ბევრი გვინახავს ჩვენ იქა,
ვახშამის ფული არ ქონდა,
ვახშამიც ჭამა, ღვინოც სვა,
ჯიბითაც ბევრი გაქონდა.

(10—1)

3 144 [1911]

მატარებლით მცხეთაში მოგზაურობა 1 ოქტომბერს



მატარებლის შიგნით და მატარებლის გარეთა მხარე.



სახელმწიფო აკადემიის
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук

სტამბა შრომა მუხრანის ქ. № 12. გამომცემელი ბ. კომახიძე.